შრომის ბაზრის კვლევა

კვლევის განმახორციელებელი

სსიპ კოლეჯი „აისი“

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური

2021 წელი

შინაარსი

შესავალი 3

კვლევის მიზნები.....3

კვლევის ამოცანები.....4

კვლევის
მეთოდოლოგია.....4

კვლევის ტექნიკური
მხარე.....5

კვლევის შედეგები
კერძო სექტორი და დამსაქმებლები.....6

კვლევის შედეგები
სამოქალაქო საზოგადოება.....13

კვლევის შედეგები
ადგილობრივი თვითმმართველობა.....15

დასკვნა.....17

შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობასა და შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, დასაქმებისა და ბიზნესის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სამუშაო ძალისთვის პროფესიული სწავლების დაგეგმვა, ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუმცა, ხშირად შრომის ბაზრის მოთხოვნა და საზოგადოების ინტერესები თანხვედრაში არ არის. ამიტომ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების კვლევა მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით, კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში (გურჯაანი, საგარეჯო, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყვარელი) კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კახეთის რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია, შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობებისა და მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, რომელიც უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ მხარეებს: პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, დამსაქმებლებს, სამუშაოს მაძიებლებს, სოციალურ პარტნიორებს, დასაქმების კერძო სააგენტოებს, სხვადასხვა კვლევით, დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანას წარმოადგენს შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

- საქართველოს საქმის, ფარმაციის, მებაღეობისა და კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პერსპექტიულობის მოთხოვნის შესწავლა კახეთის რეგიონში.
- აღნიშნულ პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობით;
- აღნიშნული პროგრამების ეფექტურობის შესწავლა დასაქმების თვალსაზრისით კახეთის რეგიონში და კერძო სექტორის მზაობის დადგენა, სსიპ კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობით მოამზადოს საწარმოს/ორგანიზაციის კადრები და საჭიროების შემთხვევაში დაასაქმოს კოლეჯის კურსდამთავრებულები.
- კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი სპეციალობების განსაზღვრა, რომლებზეც შეიძლება გაჩნდეს საჭიროება მათ საწარმოში ან ორგანიზაციაში მომდევნო 1-5 წლის განმავლობაში;
- საქართველოს საქმის, ფარმაციის, მებაღეობისა და კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მოლოდინების შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის - სატელეფონო გამოკითხვის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავებული იქნა სამი ფორმის კითხვარი:

- კითხვარი N1 გათვალისწინებული იყო სამეწარმეო სუბიექტების (დამსაქმებლების) გამოსაკითხად;

- კითხვარი N2 - სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ასაკისა და ფენის წარმომადგენელთა გამოსაკითხად;
- კითხვარი N3 - ადგილობრივი თვითმმართველობის გამოსაკითხად.

აღნიშნულ კითხვებზე რესპოდენტებს უნდა გაეცა მხოლოდ ერთი პასუხი. ზოგიერთ კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. ინტერვიუ ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით. ინტერვიუს ხანგძლივობა შეადგენდა მაქსიმუმ 10 წუთს.

კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯ „აისის“ თანამშრომლების გარკვეული ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით.

კვლევის მეთოდურ და ორგანიზაციულ მომზადებას, მიმდინარეობის მონიტორინგსა და კვლევის შედეგების დამუშავებას ხელმძღვანელობდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული იქნა ჩატარებული კვლევის შედეგები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო, როგორც წინასწარ შერჩეული კვლევის ობიექტების გარკვეულმა რაოდენობამ, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა. საბოლოოდ, კვლევის მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრა 220 რესპოდენტით:

1. კერძო სექტორის წარმომადგენლები - 64 რესპოდენტი
2. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები - 140 რესპოდენტი
3. თვითმმართველობის წარმომადგენლები - 16 რესპოდენტი

კვლევა მიმდინარეობდა 2021 წლის 15 იანვრიდან 15 თებერვლის პერიოდში.

კვლევის შედეგები - კერძო სექტორი

კვლევა ჩატარდა კერძო სექტორის 64 წამომადგენელთან და გამოკითხული რესპოდენტების საწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, რაოდენობრივად და პროცენტულად ასე გადანაწილდა:

1. აგრარული სფერო - 27 (42%)
2. მედიცინა, ჯანდაცვის სფერო - 8 (13%)
3. ფარმაცია - 15 (23%)
4. ინფორმაციული ტექნოლოგიები - 14 (22%)



კითხვაზე, თუ რა ფორმით უზრუნველყოფენ საკუთარი საწარმოს/ ორგანიზაციის პროფესიონალი კადრით დაკომპლექტებას, აქ რესპოდენტს შეეძლო გაეცა ერთი ან რამდენიმე პასუხი. შესაბამისად, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 38 პასუხი (39%) - არსებული კადრების გადამზადებით საკუთარი ძალებით, 28 პასუხი (29%)- არსებული კადრების გადამზადებით გარე რესურსის დახმარებით და 31 პასუხი (32%) - ახალი კვალიფიციური კადრის აყვანით.



გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საწარმოთა უმრავლესობას, დაახლოებით 89%-ს, აქვს სურვილი საკუთარი კადრები მოამზადოს კოლეჯი „აისის“ დახმარებით ან აიყვანოს ახალი პროფესიონალი კადრი კოლეჯის კურსდამთავრებულთაგან. მხოლოდ 11%-მა განაცხადა რომ კადრებს საკუთარი ძალებით გადაამზადებენ.



კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობის სურვილი კერძო სექტორის გამოკითხულთა უმრავლესობამ გამოთქვა, ვინაიდან აღნიშნულ კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის შერჩევა, პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად აისახა:



- სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაში ჩართულობა, მონაწილეობა სასწავლო პრაქტიკის პროცესში - 25 (27%)
- მხარდაჭერა სწავლებისთვის საჭირო რესურსებით - 16 (17%)
- საწარმოს პერსონალის მონაწილეობა სასწავლო პროცესში (ლექციები, სემინარები) – 14 (15%)
- კურსდამთავრებულთა დასაქმება / ხელშეწყობა - 38 (41%)

რაც შეეხება, ცალკეული სფეროების წარმომადგენლებს, კითხვაზე, ისურვებენ თუ არა კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობას, ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით გამოკითხულმა დამსაქმებლების თითქმის 100%-მა განაცხადა, მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით და ჩაერთონ არა მარტო სასწავლო პროცესში, არამედ, სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტების ნაწილი გაატარებინონ საკუთარ ბაზაზე რეალურ სამუშაო გარემოში. გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პანდემიის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა საექთნო პერსონალის ნაკლებობა და მათთვის მნიშვნელოვანია კოლეჯთან თანამშრომლობა, რათა კადრების დეფიციტი შეავსონ ახალი პროფესიონალი თანამშრომლებით. კითხვაზე, დაასაქმებენ თუ არა კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულებს, 88%-მა განაცხადამ რომ აუცილებლად დაასაქმებს, მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ შეძლებს მათ დასაქმებას.



ასევე, პროფესიონალი კადრების ნაკლებობა გამოიკვეთა იმ გამოკითხული ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან საუბარში, რომლებიც ოპერირებენ რეგიონში. კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი კომპანიისთვის ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება, 27%-მა განაცხადა, რომ ყავთ პროფესიონალი კადრები, 20%-მა აღნიშნა, რომ რეგიონში აღნიშნული მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტია, კომპანიის წარმომადგენლების დიდმა ნაწილმა კი (53%-მა) აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ სფეროში აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება.



ფარმაცევტული კომპანიის მხრიდან არის მზაობა, კოლეჯის სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტების ნაწილი გაატარებინონ რეალურ სამუშაო გარემოში და სწავლის დასრულების შემდგომ დაასაქმონ კურსდამთავრებულები.



როგორც ცნობილია, სხვა მნიშვნელოვანი კვლევების თანახმად საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ტექნიკურ პრობლემებს მყისიერად აღმოფხვრიან და პასუხისმგებელი იქნებიან ქსელის გამართულ მუშაობაზე. ჩვენი კვლევის თანახმადაც რეგიონში ამ მიმართულებით შეინიშნება კვალიფიციური კადრების სერიოზული დეფიციტი და მომავალში ამ სფეროს სპეციალისტები კიდევ უფრო მოთხოვნადი და პერსპექტიული გახდება.

კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი კომპანიისთვის ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, კომპანიის წარმომადგენლების დიდმა ნაწილმა (57%-მა) აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ სფეროში აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება, 29%-მა აღნიშნა, რომ რეგიონში აღნიშნული მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტია, და მხოლოდ 14%-მა განაცხადა, რომ ყავთ პროფესიონალი კადრები.



პროფესიონალი კადრების არსებობის შემთხვევაში დაასაქმებთ თუ არა კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულებს? კომპანიების 57%-მა განაცხადა რომ აუცილებლად დაასაქმებს, 14%-მა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ დაასაქმებს და 29%-მა განაცხადა, რომ მომავალში აუცილებლად დაასაქმებს.



რაც შეეხება აგრარულ სფეროს და კონკრეტულად მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, გამოკითხვა ჩატარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლებთან და გამოიკვეთა, რომ პროფესიონალი კადრების სერიოზული დეფიციტია მებაღეობის მიმართულებით.



გსურთ თუ არა, კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობა და შესაბამისი კადრების არსებობის შემთხვევაში დაასაქმებთ თუ არა კოლეჯის კურსდამთავრებულებს? გამოკითხულ ფერმერული მეურნეობის წარმომადგენელთა 78%-მა განაცხადა რომ აუცილებლად დაასაქმებს, 7%-მა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ დაასაქმებს და 15%-მა განაცხადა, რომ მომავალში აუცილებლად დაასაქმებს.



მებაღეობის პროგრამის დანერგვა კოლეჯ „აისის“ ლაგოდეხის ფილიალში ხელს შეუწყობს სექტორში კვალიფიციური კადრების მოზიდვას, ფერმერული მეურნეობების რენტაბელობის გაზრდას, ამ მიმართულებით სექტორის განვითარებას და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის როგორც დასაქმებას, ასევე თვითდასაქმებას.

აღნიშნული კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე რეგიონში დამსაქმებელთა მხრიდან საკმაოდ მოთხოვნადია აგრარული მიმართულების, ჯანდაცვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების სპეციალობები.

კვლევის შედეგები - სამოქალაქო საზოგადოება

როგორც აღვნიშნეთ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების კვლევა მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის. საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის სპეციალურად შემუშავდა კითხვარი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 140-მა სხვადასხვა სქესის, ასაკისა და განათლების მქონე ადამიანმა. მათ შორის ყველაზე მეტი - 39% იყო 14-დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდა. 32% იყო 20-დან 29 წლამდე ასაკის მოქალაქე, ხოლო დარჩენილი 29% იყო 30 წლის ზევით ასაკის პირი.



აღმოჩნდა , რომ კვლევაში მონაწილეთა 70% კარგად იცნობს კოლეჯ „აისს“ და მიმდინარე პროგრამებს. 27%-ს აქვს მეტ-ნაკლები წარმოდგენა კოლეჯის შესახებ. 3%-ს კი არ იცნობს კოლეჯის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს.



კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებულ პროგრამების ჩამონათვალში, მოცემული იყო პროფესიები სხვადასხვა სფეროებიდან. სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებიდან პირველ ადგილს იკავებს IT სპეციალობები და სტაბილურად იზრდება მისი პოპულარობა. საზოგადოების აზრით ეს სფერო მომავალში კიდევ უფრო მოთხოვნადი და პერსპექტიული გახდება. მეორე პოზიციაზე დასახელდა ჯანდაცვის სფეროდან საექთნო საქმე, რომელიც კორონავირუსის COVID-19 პანდემიის პერიოდში, საკმაოდ საჭირო პროფესია აღმოჩნდა და სავარაუდოდ, სამედიცინო მიმართულების სპეციალობები აქტუალობას არასოდეს დაკარგავს. ასევე მოთხოვნადია ფარმაციის სპეციალობა. რაც შეეხება აგრარული მიმართულების სპეციალობებს, საზოგადოების აზრით, გაიზრდება მოთხოვნა აგრარული მიმართულების ყველა სპეციალობაზე და სოფლის მეურნეობის სპეცალისტებზე, მათ შორის მებაღეობის სპეციალობაზე.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები და პროფესიული განათლებისადმი მათი დამოკიდებულება. ახმეტაში მცხოვრები პანკისის მოსახლეობა დაიტერესებულია საექთნო საქმის პროფესიის შესწავლით.

ლაგოდეხში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობის დაინტრესება კი გამოიწვია მებაღეობის პროგრამამ.

ასევე, გამოიკვეთა, რომ მეტი მოქნილობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მებაღეობის და კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროგრამა განხორციელდეს როგორც ჩვეულებრივი, ასევე ისეთი სასწავლო გეგმებით, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.

კვლევის შედეგები - ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, კახეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებისა და თანამშრომლობის შესწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული განათლების მიმართ. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. კონკრეტული მუნიციპალიტეტის ჩართულობის შესწავლა მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების მიღების პროცესში;
2. პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის ფორმების შესწავლა ;
3. მუნიციპალიტეტებში არსებული/მოსალოდნელი პროფესიებისა და სპეციალობების შესწავლა;
4. სამომავლოდ კახეთის კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე. ყველაზე პერსპექტიული სპეციალობების გამოვლენა;

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის 16-მა წარმომადგენელმა.

როგორც კვლევის შედეგმა აჩვენა, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჩართულობა მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციების სხვადასხვა ფორმით მიწოდების პროცესში საკმაოდ აქტიურია. გამოიკვეთა, რომ კახეთის რეგიონის მუნიპალიტეტების აბსოლუტური უმრავლოსობა სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობს კოლეჯ „აისთან“ და მის ფილიალებთან. ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რათა მოხდეს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირთა ხელშეწყობა მათთვის შესაფერისი პროფესიების არჩევაში.

კითხვაზე, თუ რამდენად პრიორიტეტულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის საექთნო საქმის, ფარმაციის, მებაღეობისა და კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა 88% თვლის, ძალიან მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია, რათა მომზადდეს კვალიფიციური და კონკურენტული კადრი. შესაბამისად მათი დასაქმებაც გაცილებით მარტივია. 9% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია და მხოლოდ 3%-მა განაცხადა, რომ არც თუ ისე მნიშვნელოვანია.



აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო, თუ რომელი პროფესიებია კონკრეტული მუნიპალიტეტებისთვის ყველაზე მოთხოვნადი. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სფერო აქტუალურია, მაგრამ გამოიკვეთა პრიორიტეტული პროფესიები.

კვლევის თანახმად, რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (98%) თვლის, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიები, სამედიცინო სფერო და აგრარული მიმართულების სპეციალობები არის მოთხოვნადი და დასაქმებადი პროფესიები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხრიდან კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, სამომავლოდ პერსპექტიულ მიმართულებად დასახელდა შემდეგი მიმართულების სპეციალობები:

1. ინფორმაციის ტექნოლოგია (კომპიუტერული ქსელი და სისტემები)
2. ჯანდაცვის მიმართულება (საექთნო საქმე, ფარმაცია)

3. აგრარული მიმართულების სპეციალობები (მათ შორის, მებაღეობა)

თვითმმართველობის წარმომადგენელთა აზრით, მომავალში პრიორიტეტული იქნება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მოთხოვნა გაიზრდება სპეციალისტებზე. პანდემიის დასრულების შემდეგ კი აქტუალური გახდება ტურიზმის მიმართულების სპეციალობები.

დასკვნა

გამოკითხვის შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებული თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის მოთხოვნა და საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არის ახალი ცოდნის მისაღებად. კერძო სექტორის (დამსაქმებლების) მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კი მისაღებია კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში წარმოადგენს პროფესიული განათლების ყველაზე დიდ პროვაიდერს და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებშიც (გურჯაანი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროგრამების განხორციელებას, რომელზეც არის მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან.

კვლევის ანალიზის შემდგომ გამოიკვეთა საექთნო საქმის, ფარმაციის, კომპიუტერული ქსელი და სისტემების და მებაღეობის პროგრამების დანერგვის საჭიროება. ამასთანავე კვლევის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მეტი მოქნილობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით კომპიუტერული ქსელი და სისტემები და მებაღეობის პროგრამები კოლეჯმა განახორციელოს როგორც ჩვეულებრივი, ასევე ისეთი სასწავლო გეგმებით, რომლებიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.

მთლიანობაში, ზემოთ აღნიშნული პროგრამების დანერგვა ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას, მათ ეკონომიკურ განვითარებას. ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასა და თვითდასაქმების მაჩვენებლის ზრდას.